ხელშეკრულება N01-38/239
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 22 დეკემბერი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მ/შ ჯუმბერ აბულაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე იამზე ტაკიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სასურსათო ობიექტის (საკონდიტრო ნაწარმი და უალკოჰოლო სასმელების მოწოდება) მომსახურების შესყიდვა.

CPV 15812100 -114.20 ლ
CPV 15981000-69,80 ლ
CPV15861000-14 ლ

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 198 (ასოთხმოცდათვრამეტი ლარი) ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, დანართი N1-ის და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი ჯამლეთ ფაღავა) რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მაღალორგანიზებულად უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

3.2.მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4.3 . ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება **საბიუჯეტო** სახსრებიდან.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით, თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავას განიხილავს სასამართლო.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მოწოდების ვადა

8.1. საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2016 წლის 22 დეკემბრისა.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება მომწოდებელთან, ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი
სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ.51
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 245631428

სააგენტოს უფროსის მ/შ

ჯუმბერ აბულაძე

მიმწოდებელი

მის:ქ. ბათუმი, გორგასლის ქ.123
ინდ.მეწარმე იამზე ტაკიძე
თიბისი ბანკი
ბ/კ: TBCBGE22
ს/კ 61001007885
ა/ნ GE17TB7299336010100002

ინდ.მეწარმე იამზე ტაკიძე

დანართი N1

2016 წლის 22 დეკემბრის N01-38/239 ხელშეკრულებაზე

ცხრილი ფასების და მოწოდების შესახებ

გაწეული მომსახურება	**განზომილება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**თანხა**
მინი კრუასანი კაკაოთი	კგ	6კგ	3,20	19,20ლ
გოზინაყი	კგ	1კგ	9,50	9,50ლ
ხაჭოს კვერი	კგ	2კგ	8,00	16ლ
ნუშის ნამცხვარი	კგ	2	8	16ლ
ზეფირი გლაზირებული	კგ	2,5	11	27,50ლ
წყალი ბახმარო 1,50ლ	ლიტრი	7	1	7ლ
ყავა სუმბათა	ცალი	10	1,40	14ლ
კოკა-კოლა	ლიტრი	6	2,80	16,80ლ
ფანტა	ლიტრი	6	2,80	16,80ლ
ბორჯომი 0,5	ლიტრი	10	1	10ლ
ნაბეღლავი 0,5	ლიტრი	24	0,80	19,20ლ
ფორთოხლის შიგთავსით პეჩენია	გრ	5	5,20	26ლ
სულ				**198** (ასოთხმოცდათვრამეტი) **ლარი**

სააგენტოს უფროსის მ/შ

ჯუმბერ აბულაძე

ინდ.მეწარმე

იამზე ტაკიძე